



**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება №14**

2012 წლის 23 მარტი

ქ. ქობულეთი

**„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 12 აპრილის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის №50 დადგენილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **და ა ა დ გ ი ნ ა:**

**მუხლი 1.**

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 12 აპრილის №28 დადგენილებაში (სსმ 110418027 29.04.2011 წ. ) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 6.**

საქართველოს ან უცხოური საწარმოს, ორგანიზაციის ან/და ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (დიფერენცირებულია მიწის ხარისხის მიხედვით) განისაზღვროს წელიწადში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

ა) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი წარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსათვის - 87 ლარი;

ბ) სათიბებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 20 ლარი;

გ) საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 16 ლარი;“

## **მუხლი 2.**

ბათილად იქნას ცნობილი „ქონების (გარდა არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწისა) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 მარტის №13 დადგენილება.

## **მუხლი 3.**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე